ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 ოქტომბერი, ხამშაბათი, 1989 წ.
№ 199 (10 118) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პრიზი საუკეთესო ფინიშისთვის

**ოდესაში** დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 56-ე ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწია მოსკოველმა დიდოსტატმა რაფაელ ვაჰანიანმა. გამარჯვებულმა 9 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამოიტოვა უახლოესი „მდევრები". ალექსანდრე ბელიავსკიმ (ლვოვი), ბორის გელფანდმა (მინსკი), სერგეი დოლმატოვმა (მოსკოვის ოლქი) და ვიაჩესლავ ეინგორნმა (ოდესა) 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით ვერცხლის მედლები ბელიავსკის ხვდა, ბრინჯაოსი — გელფანდს.

თითქმის მთელი ტურნირის განმავლობაში, ერთგვარად, ჩრდილში იყო ახალგაზრდა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე, მაგრამ ფინიშზე მან ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინა, ბოლო ხუთ ტურში 3,5 ქულა მოაგროვა (შავი ფიგურებით სძლია მოსკოველ ანდრეი სოკოლოვსა და ჩელიაბინსკელ სემიონ დვოირისს, დაუზავდა ოდესელ კონსტანტინე ლერნერს, გელფანდსა და ლენინგრადელ კონსტანტინე ასეევს), თავი დააღწია ბოლო ადგილს და საპატიო X ადგილი დაიკავა. სოკოლოვთან და ოდესელ ტუკმაკოვთან ერთად მან 7 ქულა მოაგროვა და უკეთესი კოეფიციენტის გამო გაუსწრო თავის უშუალო მეტოქეებს. დებიუტანტისთვის ეს უდავოდ კარგი შედეგია ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირში.

სხვათა შორის, გია გიორგაძეს სპეციალური პრიზი ერგო ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის.

## სიტუაცია უაღრესად დაიძაბა

**ლონდონში** მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ფინიშზე მეტად დაიძაბა სიტუაცია. VII ტურში ინგლისელმა ჯონათან სპილმენმა დაამარცხა ჰოლანდიელი იან ტიმანი და ანგარიში გაათანაბრა — 3,5:3,5. ახლა ყველაფერს ბოლო, VIII ტურის შეხვედრა გადაწყვეტს. საყაიმო ანგარიშია მეორე ნახევარფინალურ მატჩშიც. არტურ იუსუპოვმა IV პარტიაში სძლია ანატოლი კარპოვს და დაეწია მას, მათი VI ტურის შეხვედრა კი ყაიმით დამთავრდა. აქ ანგარიშია 3:3. ამ მოჭადრაკეებმა ბოლო ორ ტურში უნდა გაარკვიონ, რომელი მათგანი გავა ფინალურ ეტაპზე. ასე რომ, ჭადრაკის გულშემატკივარნი უაღრესად მძაფრი ფინიშის მოწმენი გახდებიან.

## ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები

**ათენში** მიმდინარე ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ანსამბლეაზე მოეწყო ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. პრეზიდენტად არჩეულია ჟ. როგე (ბელგია), ვიცე-პრეზიდენტად — ი. სლავკოვი (ბულგარეთი), გენერალურ მდივნად — მ. პესკანტე (იტალია).

აღმასკომის შემადგენლობაში აირჩიეს რვა კაცი, მათ შორის ნ. ლენცი (სსრ კავშირი), ლ. მანოლიუ (რუმინეთი). აგრეთვე ანდორის, ავსტრიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთისა და თურქეთის წარმომადგენლები.

მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

# ამირან და ძმანი მისნი...

**ქართველ ფალავანთა საოცარი მიღწევა, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი სპორტის ისტორიაში**

**მას** შემდეგ, რაც ჩვენი მოჭიდავეები საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ, უამრავი ჯილდო, მედალი და ტიტული ჩამოჰქონდათ და ახლაც ჩამოაქვთ საქართველოში. გვქონდა ნაკლებად წარმატებული პერიოდიც და განსაკუთრებული მიღწევების წლებიც, რომლებიც კარგად ახსოვთ ჩვენს ჭიდაობის გულშემატკივრებს.

უეჭველია, მათ მეხსიერებაში და, საერთოდ, საქართველოს სპორტის ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს ქართველი ძიუდოისტების უდიდესი წარმატებები მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში.

ბელგრადში, როგორც იცით, ოთხი ჩვენი ფალავანი გაემგზავრა — საბჭოთა კავშირის ნაკრების ნახევარი. კობა კურტანიძის ჩემპიონობა და გია თენაძის მიერ ბრინჯაოს მედლის მოპოვების ამბავიც გაცნობეთ, მაგრამ საქართველოს მოჭიდავეთა სრული ბენეფისი (ცხადია, ამ შედეგების გათვალისწინებით) მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს შედგა, როდესაც ტატამზე მარტყოფელი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ) და ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძე (აბსოლუტური წონა) გამოვიდნენ.

20 წლის ამირან ტოტიკაშვილი მართლაც იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მოჭიდავეა და ასაკის მიუხედავად, ფავორიტად ითვლება ნებისმიერი რანგის ტურნირზე. მას შემდეგ, რაც მოზრდილთა სარბიელზე გამოჩნდა, მისი ერთადერთი მარცხი გვახსოვს მხოლოდ, ისიც სეულის ოლიმპიადის პირველ შეხვედრაში, თანაც ვისთან, მასპინძელთა გუნდის ლიდერთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის წოდებასაც ატარებდა.

დიახ ატარებდა, რადგან ახლა უკვე ის დროა, რომ ამირან ტოტიკაშვილმა, სადაც გინდა იყოს შეჯიბრება, ძნელი სავარაუდოა, ვინმეს დაუთმოს პირველობა. ოლიმპიადის შემდეგ ძალზე დამაჯერებლად გაიმეორა ოლიმპიადისწინა წარმატებები, მოიგო ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონატები. იგი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედი გახლდათ.

ჩვენ ტელევიზორში ამირან ტოტიკაშვილის მხოლოდ ერთადერთი გამოსვლა ვნახეთ ბელგრადში — ფინალური შეხვედრა. მან იგი ისე ჩაატარა, როგორც სჩვევია ხოლმე: მშვიდად, დამაჯერებლად, ოსტატურად. ბევრს კი ცდილობდა მისი მეტოქე, იაპონელი ტოდახორი კოსინო, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ მათ, ვინც ტოტიკაშვილს იცნობს, ერთი წამითაც არ გაუვლია ფიქრი, რომ ქართველი



ამირან ტოტიკაშვილი



აკაკი კიბორძალიძე

მოჭიდავე ამ შეხვედრას დათმობდა. სახიფათო ეპიზოდიც კი არ შექმნია, იმდენად ოსტატურად ჩაატარა მან ეს შერკინება და 20 წლის ასაკში დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ამირან ტოტიკაშვილმა პირველ მნიშვნელოვან წარმატებებს მწვრთნელ ზურაბ კოროხაშვილის ხელმძღვანელობით მიაღწია, ახლა მას საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ავარჯიშებს. ამირანი ამჟამად არმიის სპორტკლუბის წევრია.

აკაკი კიბორძალიძე უკვე შეიძლება გუნდის ვეტერანად ჩაითვალოს. ტოტიკაშვილის მსგავსად მანაც ადრე მიაღწია წარმატებებს. ყველა გრძნობდა, რომ მალე დიდი გამარჯვებების ჯერიც დადგებოდა, აკაკი მართლაც ბევრ ტურნირს იგებდა, ქვეყნის ჩემპიონატებს, საერთაშორისო შეჯიბრებებს... თითქოს სულ ახლოს, ხელშესახებ მანძილზე იყო უფრო დიდი მიღწევებიც, მაგრამ ვერა და ვერ მოიხელთა ქუთაისელმა ფალავანმა ჭირვეული ბედი, მუდამ სულ ცოტა აკლდებოდა მიზნამდე, ევროპის ჩემპიონატში ფინალშიც წააგო და სხვა გაუთვალისწინებელი მარცხიც უწვნევია.

ბოლო დროს მისი სახელი ნაკლებად იხსენიებოდა გამარჯვებულთა შორის და ბევრმა ქუთაისელი მოჭიდავის სარბიელიდან წასვლა ივარაუდა, მაგრამ კიბორძალიძე კიდევ ერთხელ შეებრძოლა ბედს, ბრწყინვალედ მოიგო შესარჩევი შეჯიბრება — კურსკის საერთაშორისო ტურნირი და დამსახურებულად მოიპოვა ბელგრადში გამგზავრების უფლება.

და აი, იგი ცხოვრებაში პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, თავისთავად ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ კიბორძალიძეს, ცხადია, მეტი სურდა. ეს კარგად ჩანდა იმ ხანმოკლე ტელერეპორტაჟშიც, ბელგრადიდან რომ გადმოსცეს... და კვლავ საკვირველი, იშვიათი შემთხვევა მოხდა, კარგად დავინახეთ, რომ (ხუთჯერ გაიმეორეს ის კადრი) გადამწყვეტი შერკინებისას, მან ილეთი წამოიწყო. და თითქოს ყინულზე ჭიდაობსო, ფეხი დაუცდა ტატამზე. მისმა მეტოქემ, იაპონელმა ნაოია ოგავამ კარგად ისარგებლა ამ პირდაპირ ხონჩით მორთმეული საჩუქრით და შებოჭა ძირს დაცემული ქუთაისელი ფალავანი. აკაკი კიბორძალიძე ვერცხლის მედალს დასჯერდა. იგი დინამოელია, ომარ მერაბიშვილის ძიუდოს სახელოვანი ჯგუფის წარმომადგენელი.

ის. მე-2 გვ.

# ოცი წლის შემდეგ

**სპორტს დიდი ხნით ჩამოცილებული ხალხი ან საერთოდ აღარ იბრუნებენ ხოლმე მისკენ პირს, ან თუ ბრუნდებიან, დიდი იმედებით...**

**თამაზ მდინარაძე საწარმოო გაერთიანება „მიონის" დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, როდესაც დათანხმდა სათავეში ჩადგომოდა საქართველოს მძლეოსნურ „მეურნეობას". ასეთი მკვეთრი ცხოვრებისეული მეტამორფოზა — გადასვლა სამრეწველო საწარმოდან სპორტსახკომში ბევრს გააოცებს, ამიტომ ვიტყვით, რომ იგი რამდენიმე წელი იცავდა რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრების ღირსებას და რეკორდების ცხრილში მის გვარსაც წაიკითხავთ: 1969 წელი. 200 მ. 21,2 წმ. ...და მაინც, მისი გადაწყვეტილება ზოგისთვის იქნებ არაორდინარული, იქნებ არასერიოზულიც კი ჩანდეს. მით უმეტეს, თუ ჩვენი მძლეოსნობის დღევანდელ სიდუხჭირესაც გავითვალისწინებთ... იმედი გვაქვს, რომ ეს ინტერვიუ თამაზ მდინარაძესთან ასეთ აზრს გააბათილებს და აგრეთვე ჩვენი მძლეოსნობის დღევანდელ მდგომარეობასა და ახალი ხელმძღვანელის მიზნებს გაგაცნობთ.**

● **ბატონო თამაზ, ოცი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდით სპორტს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ახალ თანამდებობაზე მუშაობთ და ცხადია, ალბათ, შეგიძლიათ განსაზღვროთ, გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ჩვენი მძლეოსნობის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სპორტს ჩამოცილდით. უკეთესს მოელოდით თუ უარესს?**

— მართალი გითხრათ, უკეთესის იმედი მქონდა.

● **ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ უფრო მეტად რომელი შთაბეჭდილება იყო თქვენთვის ყველაზე უსიამო?**

— პასუხი რომ გაგცეთ, მეც ის უნდა ვთქვა, რასაც ახლა ყველა ლაპარაკობს. საქართველოს ნა-



კრები საქართველოს ნაკრებს აღარა ჰგავს, ეს თანაბრად ეხება როგორც სპორტსმენებს, ისევე მწვრთნელებს. მძლეოსნობის სკოლების კონტიგენტის 70 პროცენტი მაინც არაქართველი მოსწავლეებით ივსება.

შეიძლება ვინმემ ქართველ ბავშვებს სიზარმაცე დასწამოს, მძლეოსნობა, კარგად მოგეხსენებათ რამდენ შრომას მოითხოვს. ამ აზრს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. ჩვენი წამყვანი მძლეოსნები სტრიჟაკოვისა და კიდევ ორიოდე სპორტსმენის გარდა ქართველები არიან. და ეს ასეთი ცალმხრივი შერჩევის პირობებში!

მე დიდ პატივს ვცემ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, ოღონდ იმათ გარდა, ვისაც არ შეუძლია ქართულად ასწავლოს ბავშვს ვარჯიში. დაე, მძლეოსნობაში ყველა მსურველმა შეუფერხებლად ივარჯიშოს, ყველა ეროვნების წარმომადგენელმა, ოღონდ მათი შერჩევა ობიექტურ საფუძველზე უნდა მოხდეს.

● **თქვენის აზრით, რამ გამოიწვია ჩვენთან მძლეოსნობის ასეთი ფერისცვალება?**

● მოწვეული მწვრთნელებით ცდილობდნენ ეშველათ საქმისათვის! ჩვენს სპეციალისტებს ნაკლებად აფასებდნენ. იმათაც გული გაუტყდათ, ზოგიერთი საერთოდ ჩამოცილდა მძლეოსნობას, სხვებმა სარფიანი საქმე ნახეს, ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განაგრძეს მოღვაწეობა. მართალია, ჩვენი სახელოვანი მძლეოსნები ვიქტორ სანეევი, რობერტ შავლაყაძე და სხვები ახლაც მეტად სასარგებლო საქმეს ემსახურებიან — ახალგაზრდების სიჯანსაღეზე ზრუნავენ, მაგრამ მძლეოსნობაში მათ მეტის გაკეთება შეეძლოთ.

● **ადრე არ ყოფილა ამ პირდაპირ მფლანგველური ტენდენციის შეჩერების ცდა?**

— არა, არ ყოფილა. მე ეს კარგად ვიცი; ასე ვთქვათ, გარედან მუდამ ვაკვირდებოდი მძლეოსნობაში მიმდინარე მოვლენებს.

მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენი მძლეოსნები პირად შეჯიბრებებში 44-ჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება კი 50 სპეციალისტმა მიიღო, მოკლედ, გაუფასურდა ეს წოდება. თუ ადრე იგი ენიჭებოდა, ვთქვათ შალვა კილაძეს, კონსტანტინ მალიშკოვს, არჩილ კონსტანტინოვს, ლევან გიორგაძეს, ბორის ტახტაროვს, აკოფ კერსელიანს, ვლადიმერ სუხოტინს, გიორგი ერქომაიშვილს და სხვა ღვაწლმოსილ სპეციალისტებს, ბოლო წლებში დამსახურებული მწვრთნელები ხდებოდნენ აპარატის მუშაკები, რომლებსაც ერთი მაღალი კლასის მძლეოსანიც არ აღუზრდიათ. ეს იყო ავანსად გაცემული ჯილდოები, რომლებსაც განაღდება არ ეწერა. ამან ბევრი სპეციალისტი სამართლიანად გაანაწყენა და ხელი შეუწყო მათ წასვლას მძლეოსნობიდან.

ის. მე-2 გვ.

# ოცი წლის შემდეგ

(დასასრული)

**ალბათ იგივე მდგომარეობა იქნებოდა სხვა სახის წახალისებისას.**

— მართლაც, იქაც იყო არაობიექტური მიდგომა, მაგალითად, მანქანისა თუ ავეჯის ურიგოდ შეძენის უფლების მისაღებად.

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მორალური კმაყოფილების გარდა კიდევ რას აძლევს სპეციალისტს? მატერიალური მხარე მაქვს მხედველობაში.**

— მის ხელფასს ოცი მანეთი ემატება. ეს პირდაპირ სასაცილო დანამატია ასეთი საპატიო წოდების ფონზე. უკვე გითხარით, დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭების სისტემას გავამკაცრებთ მეთქი, მაგრამ იმასაც ვაპირებთ, პატივდებულმა სპეციალისტმა მეტი სარგებელი ნახოს მატერიალურადაც. ახლა ჩვენი ინიციატივით სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა რესპუბლიკის სპორტულ-მეთოდური საწარმოო გაერთიანება, რომელმაც სულ სხვა, ახალი მეთოდებით უნდა წარმართოს მძლეოსნობის განვითარება.

**კი მაგრამ, საკავშირო სპორტსახკომის წესდებებს როგორ აუვლით გვერდს, ხომ უნდა დაემორჩილოთ მათ?**

— ზოგჯერ, მართლაც, ასე ვთქვათ, ცენტრის დაკრულზე გვიწევს ცეკვა, მაგრამ, სიმართლეს გეუბნებით, ბევრ საკითხში ჩვენი გზით მივდივართ. აი თუნდაც მწვრთნელთა ანაზღაურების ახალი სისტემა აიღეთ, მოსკოვში პირი დააფჩინეს, ეს ამბავი რომ გაიგეს. ახალი გაერთიანების პროგრამას თქვენ უკვე გაეცანით, ამიტომ მხოლოდ ერთ დეტალს შევეხები: ერთი-ორი ჩვენი მოწინავე მწვრთნელი 500 მანეთზე მეტ ხელფასს იღებს. ეს სპეციალისტთა დაფასების გარდა სხვებისათვის დიდი სტიმულია. ცუდია, რომ მუშაობა მატერიალური სტიმულირებით დავიწყეთ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება.

**მატერიალური წახალისება გასაგებია, მაგრამ ეს სხვაგვარადაც ხომ შეიძლებოდა მოგვარებულიყო. მაშ რატომ შეიქმნა ახალი გაერთიანება?**

— ადრე სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილება, ისევე როგორც სხვა სახეობებისა, ვალდებული იყო მთელ საქართველოს გასწვდომოდა. მისი სტრუქტურისა და სხვა მიზეზების გამო ეს შეუძლებელი ამოცანა იყო და იმის მაგივრად, რომ აქტიურად ჩარეულიყო ყველა მიმდინარე პროცესში, შემოწმებებითა და შექება-დაწუნებით იფარგლებოდა. ესე იგი, ფაქტობრივად, რევიზორის როლს ასრულებდა.

**რევიზორი მაინცდამაინც არ უყვართ...**

— დიახ, არაიშვიათად ეს კონფლიქტებს იწვევდა მეთაურ ორგანიზაციასა და მძლეოსნურ დაწესებულებათა შორის. მაგალითად, ადრე შეეძლოთ, ჯგუფების რაოდენობის შემოწმება, მაგრამ უმთავრესი საკითხი — სელექცია, ე. ი. ჯგუფების ხარისხობრივი შევსება, მხედველობის მიღმა რჩებოდათ.

ახლა კი ჩვენი გაერთიანების მეთოდისტები უშუალოდ ერევიან ამ პროცესში, დაწვრილებით იხილავენ ვითარებას.

გაერთიანებით გვინდა მოვსპოთ ისეთი მავნე ჩვეულება, როგორიცაა არაკოლეგიური დამოკიდებულება სხვადასხვა სპორტული სკოლის პერსონალს შორის, რაც უცილობლად მათ მოწაფეებს გადაეცემოდა. ეს მეტოქეობას კი არა, უფრო მოშურნეობას ჰგავს. არავის ეგონოს, მძლეოსნობა ინდივიდუალური სპორტიაო, ერთსულოვნება აქაც თავის როლს თამაშობს. რომელიმე მძლეოსნის შეცდომას, ვთქვათ მხტომელისას, მწვრთნელზე უმალ ამჩნევს გვერდზე მოასპარეზე თანაგუნდელი. ძალზე ცუდია, თუკი მან არ მიუთითა ამხანაგს შეცდომაზე.

გვინდა ბოლო მოვუღოთ, ასე ვთქვათ, სპორტსმენთა ვაჭრობას. შეხვდებოდა რომელიმე მწვრთნელს ნიჭიერი მოწაფე და მასთან ერთად გადადიოდა სკოლიდან სკოლაში, ახლა ამის ნებართვას მხოლოდ ჩვენ ვიძლევით, ისიც განსაზღვრულ დროს. კიდევ ვიმეორებ, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია მძლეოსნობისთვის გამოყოფილი თანხის ეკონომია მისი უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით. 1985-1988 წლებში მძლეოსნობის ათ სკოლაში ხელფასის სახით გაიცა მილიონ 899 ათასი მანეთი, და მათ მხოლოდ ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მოამზადეს, უკრაინაში, მაგალითად, ასეთივე თანხით ექვსჯერ უკეთეს შედეგებს აღწევენ. ვინც იმსახურებს, მხოლოდ იმას ეკუთვნის მეტი, ოლეგ სტრიჟაკოვმა, მაგალითად, ბოლო პერიოდში ჯილდოების სახით 3 ათას მანეთამდე მიიღო, მისმა მწვრთნელმა კი ამ თანხის ნახევარი.

**ახლა ვერც სპორტული ბაზების ნაკლებობაზე დაიჩივლებენ, ფარივით რომ ჰქონდათ აფარებული ადრინდელ წლებში ზოგიერთ მწვრთნელსა და ხელმძღვანელს. ახლა, ძირითადად, მხოლოდ მტყორცნელთა ბაზებია მოუწყობელი.**

— ცხადია, გეხსომებათ ის დრო, როდესაც მძლეოსნები სამოცი მეტრის სიგრძის მანეჟის იმედად ვიყავით. სულ ეგ იყო. პირობები აშკარად გაუმჯობესდა, გვაქვს ათი სტადიონი მძლეოსნური ბილიკებით, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოთხოვნებს მხოლოდ სამი აკმაყოფილებს. აშკარად გაუმჯობესდა საასპარეზო პირობები ჩვენს მთავარ არენაზე — „დინამოს“ სტადიონზე, ოღონდ ძალზე გვჭირდება ფოტოფინიშის ხელსაწყო. კი გვყავს ბევრი მაღალი კვალიფიკაციის მსაჯი, მაგრამ ამ აპარატის გარეშე წოდება ვერ მიგვინიჭებია მორბენლებისთვის.

ძალზე კარგია, რომ ვაკეში, მძლეოსნობის მანეჟის სასტუმროც ჩვენ გადმოგვცეს. მთელს ქვეყანაში იშვიათად შეხვდებით ასეთ მოხერხებულ ადგილს სავარჯიშოდ: მანეჟი, იქვე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი და კიდევ ჩვენი სასტუმრო... ადრე საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნებულ მძლეოსნებს შინ ვუშვებდით, რითაც სანახევროდ ბათილდებოდა იმ შეკრებათა შედეგი. ახლა კი ისინი კვლავ ჩვენს თვალწინ არიან.

**კიდევ რისი გაკეთება მიგაჩნიათ გადაუდებელ საქმედ?**

— მძლეოსნობის პოპულარობას ამაღლება. საოცარია პირდაპირ, კეტბურთს უფრო სწრაფად აუღეს ალღო ჩვენმა გულშემატკივრებმა, ვიდრე ყველგან გაბატონებულ „სპორტის დედოფალს“. ადრე სად არ ეკიდა სტენდები ჩვენი მძლეოსნების სურათებითა და შედეგებით. მათ შორის „დინამოს“ სტადიონზეც, ისინი ყველგან გაქრა.

ჩვენ თუ არ ვეცით პატივი ჩვენს სახეობას, სხვას რაღა მოვთხოვოთ. ახლახან საზეიმოდ მივულოცეთ კოტე მალიშკოვს დაბადებიდან 80 წელი. მაგრამ იგი ადრე ხომ გახდა 70 თუ 60 წლისა. რატომ არ აღნიშნეს? თუ ყველა ღვაწლმოსილ მუშაკს ასე მოვექეცით, ახალგაზრდობას რაღა სტიმული ექნება? ღვაწლი დაუნახავ-შეუფასებელი არ უნდა დარჩეს.

ან რა მიზეზით ჰქონდა დაკარგული პრესტიჟი რესპუბლიკურ ჩემპიონატს? ახლა ფულადი ჯილდოებიც დავაწესეთ მონაწილეთა წახალისებისათვის. მომავალში კიდევ უფრო გავზრდით პრემიებს, ოღონდ საქართველოს ჩემპიონატი ჩემპიონატს ჰგავდეს. მატერიალური დაინტერესება აუცილებელია. მე ადრეც ძალიან მიყვარდა მძლეოსნობა, მაგრამ რა მოვიგე, რომ არაფერს მაძლევდნენ?

ან რას გვაძლევს საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება ასეთი სახით? ეს რეკლამა კი არა, ანტირეკლამაა. მძლეოსნობის სილამაზე ოსტატობაშია და არა ახალბედათა ცოდვილობაში, თანაც ამდენი ათასი ფეხბურთის გულშემატკივრის წინაშე. ჩვენს ტელევიზიასაც უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებთ, არადა, ისინი ჩვენს დახმარებას ცდილობენ.

**სხვა სახეობების სპეციალისტებს უკვირთ შეუსაბამობა მძლეოსანთა ჯგუფების რაოდენობასა და მათ საერთო შედეგს შორის. თუ მატერიალური წახალისების მეთოდს ფართოდ დანერგავთ, ამისათვის ერთი გზა გრჩებათ — ჯგუფების რაოდენობის შემცირება! მძლეოსნობისთვის გამოყოფილი თანხა, რამდენადაც ვიცი, არ უნდა გაიზარდოს.**

— მძლეოსანთა ჯგუფები მართლაც უნდა შეიკვეცოს. სპეციალიზებული სკოლები მასობრივი ფიზკულტურის დაწესებულებები არ არის. ამისთვის სხვა დაწესებულებები არსებობს. სულ 2000 ჯგუფი გვყავს, — მძლეოსანთა მთელი არმია, ხუთასამდე მწვრთნელი... თუ რომელიმე კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორს ხელფასის გაზრდა სურს, თუნდაც იგი სხვა სახეობის სპეციალისტი იყოს, მაინც მძლეოსნობის ჯგუფს ხსნის. რატომღაც ჰგონიათ, რომ ასე ადვილია მისი სწავლება. მოკლედ, მოვარჯიშეთა ჯგუფები უნდა შემცირდეს მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გაზრდასთან ერთად. და არ არის საჭირო ყველა საკავშირო დებულების ასრულება სკოლების დაკომპლექტების შესახებ. რაც კარგია, მაგალითად უკრაინისთვის, ის ჩვენთვის უსარგებლოა.

**კი მაგრამ, ბევრი ჯგუფი სხვა უწყებას, მაგალითად განათლების სამინისტროს ეკუთვნის. როგორ შეამცირებთ მათ?**

— უკვე მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება ყველა უწყების ხელმძღვანელთან. ახლო მომავალში იგი რეალობად იქცევა. ეს აუცილებელი ნაბიჯია, მწვრთნელთა უმრავლესობის კვალიფიკაციის დონე 20-30-იანი წლების მოთხოვნას შეესაბამება. ისეთი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქები, როგორიც სოხუმი, ბათუმი და ქუთაისია, თითქმის აღარაფერს იძლევიან რესპუბლიკის ნაკრებისათვის არადა, ნაკრებშია ხაშურელი, გარდაბნელი, ქარელელი მძლეოსნები, თუმცა იქ მოვარჯიშეთა რიცხვი შეუდარებლად ნაკლებია.

**რეგიონებში მუშაობის შესუსტებასა და მძლეოსნობის პოპულარობის დაქვეითებას შორის რა საერთოს ხედავთ?**

— ბევრ მშობელს ბავშვი არ მიჰყავს მძლეოსნობაში — მავნეა ჯანმრთელობისთვისო. მინდა პირდაპირ შევძახო: არ არის მავნე! მძლეოსნობა ადამიანს ფიზიკურად და მორალურადაც აჯანსაღებს. შეხედეთ მაია აზარაშვილს, მის ქალურობას არაფერი მოაკლდა, ახლა კი დედა გახდა, მშვენიერი ბიჭი ჰყავს. ანდა ტარიელ ბიწაძე ნახეთ. ნამდვილი ათლეტია. მძლეოსნები ხშირად უნდა გამოჩნდნენ ხალხში და უნდობლობა უფრო ჩქარა გაქრება. არადა, ამ მიზეზით, ვინ იცის, რამდენ ნიჭიერ მძლეოსანს ვკარგავთ.

**ჩვენ ალბათ ყველაზე მთავარ საკითხს არ შევეხებივართ — მწვრთნელთა კვალიფიკაციასა და რა თქმა უნდა, მონდომებასაც, რის გაკეთებას აპირებთ?**

— თვით სასწავლო-მეთოდური გაერთიანების დასახელება არაფერზე მიუთითებს? ჩვენ შევქმენით მეთოდური ცენტრი, იქ თავი მოვუყარეთ ყველა ინფორმაციას მძლეოსნობაზე, რაც კი გაგვაჩნია. ნებისმიერ მწვრთნელსა თუ სპორტსმენს შეუძლია იქ მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია, ყველაფერი ნახოს, ისიც გაიგოს, ვინ იყვნენ ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენები, რა შედეგებს აჩვენებდნენ. სპორტსმენი საკუთარ თავსაც, უფრო სწორედ, საკუთარ შედეგებსაც ნახავს იმ ინფორმაციაში.

გარდა ამისა ვატარებთ თათბირ-სემინარებს, რომლის დროსაც მწვრთნელი გამოცდილ კოლეგებს აცნობს ვარჯიშის საკუთარ მეთოდებს. ყველა შეცდომა იქვე განიხილება. ეს ამაღლებს ყველა სპეციალიზაციის ცოდნის დონეს. არავის სურს კოლეგების წინაშე „ჩაიჭრას“ და შერცხვეს.

გადაწყვეტილი გვაქვს მოვიწვიოთ ცნობილი სპეციალისტები სხვა რესპუბლიკებიდან, მაგრამ მხოლოდ ლექცია-სემინარების ჩასატარებლად.

**ჩვენი მწვრთნელებისაგან ხშირად გაიგონებთ, თავისი მეთოდების „საიდუმლოებას“ არავის გაგაცნობსო.**

— არც ასეა საქმე, ყველგან შეიძლება მოინახოს მტერი თუ მოყვარე, პირადი კონტაქტებია საჭირო. აქ ერთ სიახლესაც გაგაცნობთ, რომელიც ჩვენს გაერთიანებაში უკვე ინერგება. იმ სახეობებში, სადაც არ არიან კარგი სპეციალისტები, მაგალითად, ჭოკით ხტომაში, ასე ვთქვათ, ვფიქრობთ, მწვრთნელებს, უფრო სწორედ, მძლეოსნებს ვაგზავნით ამა თუ იმ ცნობილ ცენტრში, მაგალითად, დონეცკში. თუ იქაურმა სპეციალისტმა პირობა შეასრულა (შედეგები ამაღლდა), ჩვენ მას გადავუხდით თანხას, რომელიც ეკუთვნის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს. თუ არა და იგი ვერაფერს მიიღებს. დაახლოებით იგივე პრინციპს გამოვიყენებთ საქართველოშიც. ნებისმიერ კაცს გადავუხდით ხელფასს, თუკი კარგ მძლეოსანს მოგვიმზადებს, თუნდაც ძირითად სამუშაოსგან თავისუფალ დროს. სხვათა შორის, რამდენიმე [illegible] სპორტს ჩამოსცილდა და სხვაგან მუშაობს, [illegible]

**იზიარებენ თუ არა ამ სიახლეებს ჩვენი სპეციალისტები?**

— ერთხანს მათ შორის დაბნეულობა იყო, ადრე, მოგეხსენებათ, გათანაბრების პრინციპი ბატონობდა და უმრავლესობა ზოლ ცხოვრებას იყო მიჩვეული. ახლა კი ვინც კარგად იმუშავებს, იმათ გაეზრდებათ ხელფასი. სიახლე, ცხადია, ყველას არ ესიამოვნებოდა.

**კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ისევ აირჩიეს მწვრთნელთა საბჭო, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი საქმე უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ ასეთი საჭირო ორგანო ერთმმართველი ხელმძღვანელის ხელში მარიონეტად იქცევა ხოლმე.**

— შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩვენს მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე და იქ დარწმუნდეთ, რომ საქმე ასე არ არის. მე იქ მხოლოდ ერთი ხმა მაქვს. ეს არის შრომისუნარიანი, „მოჩხუბარი“ კოლექტივი, ზოგჯერ ისეთი კამათია ხოლმე ამა თუ იმ საკითხის განხილვისას, რომ...

უკვე რვა სხდომა ჩავატარეთ. ასეთი პრინციპით უნდა იმუშაოს მძლეოსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და მჯერა, სულ მალე შედეგიც კარგი იქნება.

**ჩვენი ახლანდელი ნაკრების მდგომარეობა ყველასთვის ცხადია, როგორ არის რეზერვის საქმე?**

— ამ დღეებში კისლოვოდსკში ვიყავი ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად. შეკრებაზე ძალიან კარგი ბავშვები არიან. ვეცადე გულახდილად მელაპარაკა მათთან. ვისაუბრეთ სპორტზე, სპორტსმენისა და საერთოდ ადამიანის ღირსება-მოვალეობაზე... ადრე კოლეგები მხარში ედგნენ ერთმანეთს, ეხმარებოდნენ. ახლა ასეთი ნამდვილად ადამიანური თვისება დაიკარგა, რაც ბავშვებსაც გადაედოთ. წარმოუდგენელია იმაზე ფიქრიც, რომ შეგირდებში მარტო შედეგების მაჩვენებელი რობოტები დაინახო და არა შენი ერის მომავალი. ნუ მოგვთხოვენ მათ სწრაფ პროგრესს, აღზრდის გზა გაცილებით გრძელია. ახალგაზრდული საკავშირო შეჯიბრებები დროებით თავის მოსაწონად კი არ უნდა გვჭირდებოდეს, არამედ დიდი შედეგებისთვის „დიდ“ სპორტში. ნურავინ იფიქრებს, რომ თავს ვიზღვევ, სულაც არ მინდა ვიყო „ოლიმპიური ციკლის სპეციალისტი“, რომელსაც ყოველ ოთხ წელიწადში ნიშნავენ და ხსნიან შედეგების გაუარესების გამო. თუ ჩვენმა გაერთიანებამ იმედი არ გაამართლა, ეს მეტად მძიმე დარტყმა იქნება ჩემთვის. ამ დროს პოსტის შენარჩუნებაზე ფიქრი მორალურად გამართლებული არ იქნება.

**პრობლემები მძლეოსნობაში მართლაც ბევრია და ერთმანეთზე საჭირბოროტო. ამიტომ მინდა გკითხოთ, ცოტა სინანული ხომ არ გიგრძვნიათ თქვენი გადაწყვეტილების გამო?**

— როცა აქ გადმოვედი, იმის მტკიცება დამჭირდა, რომ ნორმალური ნაბიჯი გადავდგი. დამიჯერეთ, ხშირად მესიზმრებოდა მძლეოსნობა. ერთია იმუშაო „მიონში“, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, როცა კონკრეტულად აკეთებ იმ საქმეს, რაც შენს ხალხს გამოადგება.

ესაუბრა გიორგი ჩოჩიშვილი.

# ამირან და ძმანი მისნი...

(დასასრული)

მთლიანად კი ოთხი ქართველი ძიუდოისტის ანგარიშზეა ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. დავუშვათ და ჩვენი კვარტეტი ცალკე გუნდად რომ ჩავთვალოთ, მასზე წინ მხოლოდ იაპონელები აღმოჩნდებიან. ძიუდოს სამშობლოს გუნდი ამ ჩემპიონატისთვის შესანიშნავად მომზადებულა და ძალიან ეცადა დაებრუნებინა ძველი პოზიცია. მათ სამი ოქროს მედალი მოიპოვეს, ორი ვერცხლისა და ერთიც — ბრინჯაოსი.

მაგრამ საქართველოს გუნდი ნახევარი კი არა, იაპონელებივით მთელი შემადგენლობით რომ ყოფილიყო, რომ ეჭიდავა მძიმე წონაში დავით ხახალეიშვილს, 86 კილოგრამ წონაში — დავით ბაგაურს ან ანზორ თენაძეს, 78 კილოგრამში — ვთქვათ, ენგურ გოგიჩაშვილს, 65-ში — ერთ-ერთ ჩვენს პერსპექტიულ ახალგაზრდას, მაშინ, დარწმუნებულნი ვართ, ძალთა თანაფარდობა სხვა იქნებოდა.

ისე კი, ჩვენი ოთხეულის წყალობით, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში აჯობა იაპონელებს, მან 33 ქულა მოაგროვა, ძირითადმა მეტოქეებმა კი — ორით ნაკლები.

კიდევ ვიმეორებთ, საქართველოს ძიუდოისტების გამოსვლა ბელგრადში ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია.

# ყველა შეხვედრა მოიგო

**ახლახან** ბათუმის საზაფხულო თეატრში, კოოპერატივ „ქართული ფენომენის“ თაოსნობით, შეხვედრა მოუწყვეს საერთაშორისო დიდოსტატს, ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარეს ნანა ალექსანდრიასა და 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიო ჩემპიონს, ბათუმელ დიანა დარჩიას.

ნანა ალექსანდრია შეკრებილთ ესაუბრა ბათუმში მისი სტუმრობის შესახებ, ხოლო ნორჩმა მოჭადრაკემ გულშემატკივრებს შთაბეჭდილება გაუზიარა მოზარდთა მსოფლიო ჩემპიონატების პერიპეტიებზე.

შეხვედრის დასასრულს მოჭადრაკეებმა გამართეს ერთდროული თამაშის სეანსი. დიანა დარჩიამ 12 დაფაზე აბსოლუტურ შედეგს მიაღწია — ყველა მეტოქე დაამარცხა, ხოლო ნანა ალექსანდრიამ, რომელიც 23 დაფაზე თამაშობდა, მოიგო 19 პარტია, ორი ყაიმით დაამთავრა და ორ შეხვედრაში დამარცხდა.

ეს საინტერესო შეხვედრა საქველმოქმედო ხასიათისა იყო, შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ოთარ მურვანიძე.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**სსრ კავშირის** 1989 წლის ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. ჩასატარებელია სულ ორი ტურის შეხვედრები, სწორედ ახლა, გათამაშების ფინიშზე გამოვლინდებიან ჩემპიონიც, პრიზიორებიც და ის აუტსაიდერებიც, რომლებსაც საგაისოდ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევთ.

**„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (1:1)**

**მოსკოვი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 14 ოქტომბერი.**

**„ლოკომოტივი":** იურკუსი, ნესტეროვი, არიფულინი, მილეშკინი, კალაიჩევი, გორკოვი (ბოდაკი, 87), ბულანოვი, გალაკბეროვი (ჟიდკოვი, 88), რიბაკოვი, რუხიაევი, შედინი.

**„დინამო":** ხაპოვი, კეტაშვილი, ჯიშკარიანი, ჰედია, ჩიქოვანი, რევიშვილი, ხვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჰარავა, გოგიჩაიშვილი.

გააფრთხილეს ჰედია, ნესტეროვი, გორკოვი.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

დუბლიორები — 0:1.

ბურთი გაიტანა ცხადაძემ.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის. ორი აუტსაიდერი ერთმანეთს შეხვდა ამ მეტად დიდმნიშვნელოვან, პრინციპულ მატჩში... 1500 მაყურებლის წინაშე. ის დრო, როცა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" თამაში გაცილებით მეტ მაყურებელს უყრიდა თავს ტრიბუნებზე, წარსულს ჩაბარდა და I ლიგაში ჩამოქვეითების კანდიდატთა ერთმანეთთან ანგარიშსწორება ახლა, ეტყობა, გულშემატკივართა ვიწრო, ძალიან ვიწრო წრეს თუ აინტერესებს.

მაგრამ მაყურებლისთვის თუ არა, უშუალოდ გუნდებისთვის კი მატჩის შედეგს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. და იმ სიტუაციაში, როცა უკან დასახევი ნაბიჯის გადადგმის უფლება მეტოქეთაგან არც ერთს არ ჰქონდა, ლოკომოტიველებმა გამარჯვებისადმი მეტი სწრაფვა და ნებისყოფა გამოიჩინეს, რაც შეეხება თბილისის „დინამოს", მან წლევანდელ სეზონში, და არა მარტო წლევანდელ სეზონში, კიდევ ერთხელ გააწბილა თავისი გულშემატკივრები, თანაც ეს მოხდა ისეთ სიტუაციაში, როცა გუნდს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თუნდაც ერთი ქულა აეღო. თბილისელები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, შემდეგ თამაშის ფრედ დამთავრებაც შეიძლებოდა, მაგრამ პასიურმა დაცვითმა სისტემამ და ანგარიშის შენარჩუნებისადმი სწრაფვამ ის შედეგი გამოიღო, რომ წლეულს, უკვე მერამდენედ ვაგებთ თამაშს. გაიხსენეთ წინა შეხვედრები დუშანბეს „პამირთან", მოსკოვის „ტორპედოსთან", ხარკოვის „მეტალისტთან"...

ძნელია „ლოკომოტივთან" თამაშს ტაქტიკურად გამართული, აწყობილი და ზუსტად დაგეგმილი უწოდო. ორივე გუნდის მოთამაშეები მეტწილად ინდივიდუალური, ხშირი შეტაკებებით გამოირჩეოდნენ. ინიშნებოდა ჯარიმები, წამდაუწუმ იკარგებოდა ბურთი, მეტისმეტი ნერვიულობა და დაძაბულობა ცხადად იგრძნობოდა მატჩის თითქმის ყველა ეპიზოდში. ეტყობა, ასე ხდება, როცა ორი ჩამორჩენილი გუნდი ებრძვის ერთმანეთს თავის გადასარჩენად და მატჩის ანგარიშსაც გაცილებით, განუზომლად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე თვით უშუალოდ თამაშს, მის სპორტულ მხარეს.

და, მაინც, ვფიქრობთ, დინამოელთა რიგებში მეტი თვითდარწმუნება, მეტი დამაჯერებლობა უნდა შეეტანა იმ გოლს, რომელიც საკმაოდ ადრე, მე-18 წუთზე გაიტანა ქეცბაიამ: მეკარე იურკუსმა მოიგერია ძლიერი დარტყმა, ბურთს ყველაზე ადრე ქეცბაიამ მიუსწრო და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

გოლი საკუთარ კარში „ლოკომოტივისათვის" კატასტროფას ნიშნავდა. ამიტომაც მასპინძლებმა სასწრაფოდ მოახდინეს მთელი თავიანთი ძალების მობილიზება, იბრძოლეს ანგარიშის გასათანაბრებლად და 35-ე წუთზე მიზანსაც მიაღწიეს: თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო, ბულანოვმა ძალზე ზუსტად, ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში — 1:1.

სწორედ აქ იყო საჭირო ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა, თავდაუზოგავი ბრძოლა საიმისოდ, რომ მოსკოველები ამ ერთი საპასუხო გოლით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს, ინიციატივა დათმეს, მათ ხშირ შეცდომებს საბოლოოდ ის მოყვა, რომ მოსკოველებმა თავიანთი მრავალი იერიშიდან ერთ-ერთი წარმატებით დაამთავრეს და ეს მოხდა თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე. თბილისელთა კარის სიახლოვეს თავით კარგად ითამაშა რიბაკოვმა, „ლოკომოტივმა" ყველაფერი გააკეთა თამაშის მოსაგებად და ის 2 ქულა ჩაიწერა, რომელიც მას ჰაერივით ესაჭიროებოდა.

იყო ერთი შემთხვევა, როცა „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანზე მყოფმა კაჰარავამ სულ ახლო მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი.

თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ და თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ახლა, განსაკუთრებით ახლა, საქმე ეხება ერის სპორტულ პრესტიჟს, ქართული სპორტის ავკარგს. კოლექტივი ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს წარსული დიდების აღსადგენად, ჯერჯერობით კი დინამოელთა მხრივ ვხედავთ მხოლოდ მდგომარეობის გამოსწორების უუნარო, მორიდებულ, უბადრუკ ცდებს, თბილისის „დინამოს" ჯერჯერობით მხოლოდ წყენა, გაწბილება და უსიამოვნება მოაქვს გულშემატკივრებისთვის.

**ბანვლილ** შაბათს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 39-ე ტურის შეხვედრები.

**ორჯონიკიძის** „სპარტაკთან" საკუთარ მინდორზე ლანჩხუთელ ფეხბურთელთა გამარჯვების თაობაზე უკვე ვიუწყებოდით — 1:0. ბათუმის დინამოელებმა ტიუმენში წარმატებით ითამაშეს „გეოლოგთან" და ერთი ქულა აიღეს — 1:1.

**ტურის** სხვა შეხვედრათა შედეგები: „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 2:3, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:1, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:1, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 1:0, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:2, „დაუგავა" (რიგა) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 37 | 23 | 10 | 4 | 95-24 | 56 |
| „გურია" | 38 | 23 | 9 | 6 | 66-35 | 55 |
| „კაირატი" | 38 | 22 | 8 | 8 | 71-33 | 52 |
| „ფაკელი" | 37 | 16 | 11 | 10 | 44-33 | 43 |
| „დინ." სტ. | 37 | 16 | 11 | 10 | 47-38 | 43 |
| „ტავრია" | 38 | 16 | 10 | 12 | 58-50 | 42 |
| „ნეფთჩი" | 37 | 15 | 12 | 10 | 50-39 | 42 |
| „მეტალ." | 37 | 16 | 9 | 12 | 50-36 | 41 |
| „ფახთაქ." | 38 | 15 | 10 | 13 | 52-36 | 40 |
| „გეოლოგი" | 38 | 16 | 7 | 15 | 47-45 | 39 |
| „ნისტრუ" | 38 | 17 | 4 | 17 | 39-54 | 38 |
| „კოტაიკი" | 37 | 13 | 12 | 12 | 41-35 | 38 |
| „ტორპედო" | 37 | 16 | 5 | 16 | 60-67 | 37 |
| „როსტსელ." | 37 | 11 | 12 | 14 | 36-41 | 34 |
| „შინიკი" | 38 | 11 | 12 | 15 | 42-58 | 34 |
| „დინ." ბ. | 38 | 11 | 11 | 16 | 37-55 | 33 |
| „სპარტაკი" | 37 | 11 | 10 | 16 | 42-50 | 32 |
| „ყუბანი" | 37 | 10 | 9 | 18 | 36-68 | 29 |
| „კუზბასი" | 37 | 9 | 10 | 18 | 23-40 | 28 |
| ასკ. რ. | 37 | 8 | 11 | 18 | 47-67 | 27 |
| „დაუგავა" | 37 | 8 | 6 | 23 | 27-63 | 22 |
| ასკ „კარპ." | 37 | 5 | 7 | 25 | 33-76 | 17 |

# ფეხბურთელები დაასახიჩრეს

ეს ფრიად სავალალო ამბავი ქალაქ ვილნიუსში მოხდა, რის შესახებაც ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 15 ოქტომბრის ნომერში.

ვილნიუსის „ჟალგირისისა" და დონეცკის „შახტიორის" საკავშირო ჩემპიონატის მატჩის წინ დონეცკელი ფეხბურთელები სავარჯიშოდ მიემგზავრებოდნენ სტადიონზე. მათ ავტობუსს სასტუმროს წინ ამაოდ უცადეს, თითქმის მთელი საათი, მაგრამ მანქანა დათქმულ დროზე არ მოვიდა. ფეხბურთელებს შეატყობინეს, რომ ავტობუსი გაფუჭდა და გუნდიც საწვრთნელ ბაზაზე ვერ გაემგზავრებოდა. ამიტომაც „შახტიორის" ხელმძღვანელებმა სახელდახელო ვარჯიში ჩაატარეს დერეფანში, შემდეგ კი მცირე ხნით ქალაქში სასეირნოდ გაუშვეს ფეხბურთელები.

„შახტიორის" ორი მოთამაშე (ო. სმოლიანინოვი და ვ. გოშკოდერია) ბაზარში აღმოჩნდა. ფეხბურთელებს მიუახლოვდნენ ვიღაც ახალგაზრდები, ფულის გადახურდავება მოსთხოვეს და როცა უარი მიიღეს, სასტიკად გაუსწორდნენ ერთსაც და მეორესაც: სმოლიანინოვს ცხვირის ძვალი ჩაუმტვრიეს, გოშკოდერიას კი ასევე მძიმე ტრავმა მიაყენეს. ფეხბურთელები საავადმყოფოში მოათავსეს. რა თქმა უნდა, მათ ვერ შეძლეს თამაშში მონაწილეობის მიღება და „შახტიორმაც" მარცხი განიცადა — 0:3.

როგორც ვილნიუსის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებამ შეატყობინა რედაქციას, ხულიგანთა ვინაობა დადგინდა, მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „მადაროელი" (ჭიათურა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:3, „არმაზი" (მცხეთა) — „მზიური" (გალი) 2:1, „ივერია" (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „სქური" (წალენჯიხა) — „არაგვი" (დუშეთი) 2:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:2, „სიონი" (ბოლნისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:3, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:0. „საპოვნელა" (თერჯოლა) — „დინამო" (გაგრა) 2:0.

# ფინალში იტალიელებს შევხვდებით!

**ასე** განაცხადა არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ ესპანურ ჟურნალ „დონ ბალონის" კორესპონდენტთან საუბარში. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ პუბლიკაციიდან.

**● მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი ევროპელთა „შინაურ საქმედ" ხომ არ იქცევა?**

— როცა მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკაში იმართება, როგორც წესი, სამხრეთამერიკული გუნდი იმარჯვებს, თუ შეჯიბრება ევროპაში ეწყობა, ჩემპიონობა ევროპელებს რჩებათ, გამონაკლისი იყვნენ ბრაზილიელები 1958 წელს შვეციაში, მაგრამ მათ ხომ მაშინ პელე ჰყავდათ. მე ვფიქრობ, რომ გაისად იტალიაში ვერც ერთი სამხრეთამერიკული გუნდი ვერ გაუწევს მასპინძლებს კონკურენციას.

**● თქვენ გაიხსენეთ პელე, როგორც განსაკუთრებული ფეხბურთელი, რომელმაც თავის გუნდს შვეციაში ხელი შეუწყო ჩემპიონობა მოეპოვებინა შვედებთან ბრძოლაში. მექსიკაში არგენტინელებისთვის ხომ ასეთივე როლი მარადონამ შეასრულა?**

— იქვგარეშეა, ვარსკვლავები ჩვენს კოლექტიურ თამაშში დიდ როლს ასრულებენ. თუ დიდი ფეხბურთელები არა გვყავს, დიდ გუნდსაც ვერ შექმნი. ამიტომ იყო მარადონა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის უგვირგვინო მეფე. მაშინ იგი თავისი დიდების ზენიტში გახლდათ, ახლა კი მას წლები მოემატა, „ნაპოლიშიც" დიდი დატვირთვა აწევს.

**● თქვენ წელან ბრძანეთ, რომ იტალიელებს მსოფლიო ჩემპიონატის დროს ყველა დანარჩენთან უპირატესობა ექნებათ...**

— დიახ, ასეა. ამასთან მე ვფიქრობ, რომ თუ მარადონა თავის საუკეთესო ფორმაში იქნება, იტალიელებს ფინალში სწორედ ჩვენ შევხვდებით.

**● როგორ ფეხბურთს თამაშობდნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილე გუნდები?**

— ეს ფეხბურთი ძალიან ჰგავდა ევროპულს. მას შემდეგ, რაც 1988 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა, მისმა მატჩებმა დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ დროიდან მოყოლებული, უნდათ თუ არ უნდათ, ყველა ჰოლანდიელებს, საბჭოთა ნაკრებს, გფრ-სა და იტალიელებს ჰბაძავს. არგენტინელები დაახლოებით ისევე ვთამაშობდით, როგორც მექსიკაში: ორი სტოპერით დაცვის ცენტრში, ერთი თავდამსხმელით, გაძლიერებული შუა ხაზით, რომლის წარმომადგენლებიც დაცვაშიც თამაშობენ და შეტევაშიც...

**● იტალიაშიც ასე იქნება?**

— ტაქტიკური თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა მინდვრის შუაგულს მიენიჭება. ის გუნდი, რომლის წამყვანი მოთამაშეები უფრო სწრაფად იაზროვნებენ და გადაწყვეტილებას სწრაფად მიიღებენ, უპირატესობასაც მიაღწევენ. საჭირო გახდება გუნდების ფიზიკურად კარგად მომზადება, რადგან ძნელ მატჩებს შორის დასასვენებლად მათ ფაქტიურად მხოლოდ ერთი დღე ექნებათ. მწვრთნელის ამოცანა ძირითადად ისაა, რომ გუნდის რგოლებს შორის სათამაშო კავშირები არ დაირღვეს, როცა ფეხბურთელების შეცვლაზე მიდგება საქმე. ხოლო ისინი, ვისაც დიდი ფებურთელები ეყოლებათ, შეიძლება მშვიდად იყვნენ, ასეთმა ფეხბურთელებმა თვითონ იციან, რაც გააკეთონ მინდორზე.

**● თქვენი საფეხბურთო შეხედულებით ძალიან ახლოს ხართ ევროპელ მწვრთნელებთან. ხომ არ აპირებთ ევროპაში მუშაობას?**

— შეიძლება, ვნახოთ. ალბათ ორ ქვეყანაში: იტალიასა და ესპანეთში, სადაც ფეხბურთი ესოდენ პოპულარულია. ერთ მშვენიერ დღეს, ეტყობა, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, მეც ევროპაში დავრჩები, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობენ იმაზე უკეთესი ფეხბურთელები, ვიდრე სამხრეთამერიკული ოსტატები არიან. აქ ფეხბურთი ევროპელებზე გაცილებით უკეთ ესმით.

მოამზადა
**გივი თორელმა.**



# გამარჯვების საფასური



**იტალია-90**

**მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, თუ ამ ქვეყნის ნაკრებმა გაიმარჯვა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ოქროს მედლების საფასურად გუნდის თითოეული წევრი ჯილდოდ მიიღებს 250 მილიონ ლირას (180 ათასი დოლარი).

როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ განუცხადა ჟურნალისტებს, ფედერაციას დაგეგმილი აქვს „პროექტი 1990", რომლის ფონდშია 20 მილიარდი ლირა. ეს თანხა გათვალისწინებულია ფლორენციის მახლობლად მდებარე ქალაქ კოვერჩანოს საწვრთნელი ბაზის რეკონსტრუქციისთვის, სადაც იტალიის ნაკრები 1990 წლის 4-31 მაისს შეიკრიბება ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის სამზადისზე; აქვე გაიმართება რამდენიმე საერთაშორისო საწვრთნელი მატჩი, რომლებიც აგრეთვე მოითხოვს გარკვეულ თანხებს.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის არგენტინელმა ფეხბურთელებმა ჯილდოდ მიიღეს 40 ათასი დოლარი თითოეულმა.




**მართლაც** სასიამოვნო საჩუქარი მოუმზადა გამომცემლობა „სოვეტსკი სპორტმა" ფეხბურთის მოყვარულებს — 350.000 ტირაჟით გამოუშვა ცნობარი „სსრ კავშირის 50 საფეხბურთო ჩემპიონატი". მისი ავტორებია ცნობილი სპორტული ჟურნალისტები ალექსანდრ გორბუნოვი და იური ლუკაშინი. ნაშრომში დაწვრილებითაა მოთხრობილი უძლიერესთა ლიგის ყველა საკავშირო ჩემპიონატზე, მოყვანილია მოკლე მონაცემები განვლილ გათამაშებათა ფეხბურთის ვარსკვლავებზე — მიხეილ იაკუშინზე, ვასილი სოკოლოვზე, გრიგორი ფედოტოვზე, ალექსანდრ პონომარიოვზე, ანდრეი სტაროსტინზე, ბორის პაიჭაძეზე, ვსევოლოდ ბობროვზე, კონსტანტინ ბესკოვზე, ავთანდილ ღოღობერიძეზე, ედუარდ სტრელცოვზე, სერგეი სალნიკოვზე, ლევ იაშინზე, მიხეილ მესხზე, სლავა მეტრეველზე, მურთაზ ხურცილავაზე...

აქვეა მოყვანილი ქვეყნის ჩემპიონი გუნდების ყველა უფროსი მწვრთნელის გვარი, სეზონის საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელთა სრული სია (დაწყებული 1964 წლიდან), აგრეთვე დიდი ფეხბურთის პრიზების მფლობელები წლების მიხედვით, და, რაც ასე იშვიათია, დასტამბულია ყველა ჩვენი ჩემპიონატის ცხრილი.

**ოთარ ოთარაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვება ორივე ასაკში

ვანში დამთავრდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება გზატკეცილზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებისა და ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების წარმომადგენლები, სულ 170-მდე სპორტსმენი. ასპარეზობაში ძალებს ცდიდნენ ორი ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკური და ხობის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ველოსიპედისტები (1973 და 1974 წლებში დაბადებულნი) და უნდა ითქვას, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა, როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაშიც კარგი მომზადება გამოამჟღავნეს. ეს პირველ რიგში ითქმის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელებზე (დირექტორი ლ. ბოლქვაძე).

პირველ რიგში სასიხარულოა, რომ საგრძნობლად გაიზარდა პრიზიორთა, ე. წ. „გეოგრაფიული სფერო“. გამარჯვებულთა და საპრიზო ადგილებზე გამოსულთა შორის იყვნენ ველოსიპედისტები ქუთაისიდან, ვანიდან, თერჯოლიდან, გალიდან, ასეთი ფართო წარმომადგენლობა წინა საკავშირო შეჯიბრებებში არ გვქონია.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

**1973 წელს დაბადებულნი. წყვილთა რბოლა 20 კილომეტრზე.** I ა. მაზუროვი და დ. პოტაპჩენკო (ქალაქი სარანი) — 27.20,35, 2. დ. შუტოვი და ვ. აბინი (გორკი) — 27.31,30, 3. მ. გერგედავა და თ. აქუბარდია (საქართველო) — 27.37,24.

**ჯგუფური რბოლა 97 კილომეტრზე.** 1. თ. აქუბარდია — 2:22.48, 2. ე. პრონინი (მოსკოვი) — 2:23.19, 3. ი. ბანგუკოვი („მოლდოვა“) — 2:23.19.

**რბოლა-კრიტერიუმი 8 წრეზე (32 კმ და 800 მ).** 1. მ. შაგოიანი (ერევანი) — 18 ქულა, 2. რ. ვაინშტეინი (მურიანი) — 15 ქულა, 3. მ. გერგედავა —10 ქულა.

**გუნდური შედეგები:** 1. საქართველო —62 ქულა, 2. გორკი — 55 ქულა, 3. ერევანი — 42 ქულა.

**1974 წ. დაბადებულნი. წყვილთა რბოლა 20 კილომეტრზე.** 1. ლ. პიმჩენკო და ა. კირილიუკი(ბროვარი) — 27.22,08, 2. ზ. ლორთქიფანიძე და დ. შავგულიძე (საქართველო) — 27.29,26, 3 ს. კოტინი და ვ. კონოვი (გორკი) — 27.31,41.

**ჯგუფური რბოლა 80 კილომეტრზე.** 1. დ. შავგულიძე — 1:58,32, 2. ფ. აბზალოვი (ტაშკენტი) — 1:58,32. 3. ა. აგილიაროვი (მოსკოვი) — 1:58:32.

**რბოლა კრიტერიუმი 6 წრეზე (24 კილომეტრი, 400 მეტრი).** 1. ს. აბჟანდაძე (საქართველო) — 21 ქულა, 2. დ. შავგულიძე — 15 ქულა, 3. ვ. სტიაჟკინი (იჟევსკი) — 11 ქულა.

გუნდური შედეგები: 1. საქართველო — 85 ქულა, 2. ტაშკენტი — 34,5 ქულა, 3. ბროვარი — 34 ქულა.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელები იყვნენ დ. გეგეშიძე და ბ. კილასონია, როგორც ყოველთვის ვანის რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა შეჯიბრების ნორმალურად ჩატარებისთვის. უნდა აღინიშნოს საქართველოს ავტოინსპექციის ქუთაისის, ვანის, მაიაკოვსკისა და სამტრედიის რაიონების წარმომადგენელთა ზუსტი და ოპერატიული მუშაობა.

# არკადი მონიავა



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი არკადი იაკობის ძე მონიავა.

დაიბადა 1929 წელს, 1949 წელს შევიდა ლენინგრადის ს. ბუდიონის სახელობის კავშირგაბმულობის აკადემიაში, ბოლო 1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, იყო 14 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1974-1988 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა, შემდეგ — საქართველოს საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო რესპუბლიკური გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, საქაგრომშენის № 1 ტრესტის მმართველად.

1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი. იყო ამ სპორტსაზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

სხვადასხვა წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

საქმის ერთგული ადამიანისა და გულისხმიერი მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.

**პროფკავშირების საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო.**



## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# მესამე დამატებით დროში

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართა ერთი მატჩი.

**ლენინგრადი.** როგორც ვიუწყებოდით, ადგილობრივმა „სპარტაკმა“ პირველი მატჩი შინ წააგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან. განმეორებით შეხვედრაში მასპინძლები რევანშისთვის განეწყვნენ და შეხვედრა უაღრესად მძაფრი, საინტერესო გამოდგა.

პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს 8 ქულით (48:40). შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა გამოასწორეს მდგომარეობა და მატჩისთვის განკუთვნილი ძირითადი დრო ფრედ (76:76) დამთავრდა. უძლიერესი ვერც ორმა დამატებითმა ხუთწუთიანმა პერიოდმა გამოავლინა — 85:85, 94:94. ლენინგრადელებმა მხოლოდ მესამე დამატებით დროში მოიპოვეს გამარჯვება — 105:98.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „კალევი“ (ტალინი) | 8 | 7 | 1 | 15 |
| ცსკა | 7 | 6 | 1 | 13 |
| ვეფ (რიგა) | 8 | 5 | 3 | 13 |
| ასკ (ალმა-ათა) | 8 | 5 | 3 | 13 |
| „დინამო“ (მ.) | 8 | 5 | 3 | 13 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 8 | 4 | 4 | 12 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 8 | 3 | 5 | 11 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 8 | 3 | 5 | 11 |
| რტი (მინსკი) | 8 | 3 | 5 | 11 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 8 | 3 | 5 | 11 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 8 | 2 | 6 | 10 |
| „დინამო“ (თბ.) | 7 | 1 | 6 | 8 |

## „ვირჯინია სლიმზის“ ფინიში

**მოსკოვი.** დამთავრდა „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნატალია ზვერევა (სსრ კავშირი) და გრეთჰენ მეიჯერსი (აშშ). გამარჯვება და მთავარი პრიზი (17 ათასი დოლარი) წილად ხვდა ამერიკელ ჩოგბურთელს 6:3, 6:4. ნატალია ზვერევამ მეორე ადგილისათვის 8 ათას 500 დოლარი მიიღო.

წყვილთა შეჯიბრებაში წარმატება საბჭოთა დუეტმა მოიპოვა (ზვერევა-ლარისა სავჩენკო). ფინალში მან ფრანგებს ნატალი ერემენსა და კატრინ სიუირს აჯობა — 6:3, 6:4. აქ პირველი პრიზის ფონდი 6 ათას დოლარს შეადგენდა.

## ძნელი გამარჯვება

**გაიმართა** აზიის ქვეყნების ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. მასში 15 გუნდი იღებდა მონაწილეობას

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჩინეთისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა. ჩინელებმა დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 102:70 და მოიპოვეს კონტინენტზე უძლიერესის სახელი.

# ჯუმბერ რუსაძე



გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, თბილისისა და ქუთაისის „დინამოს“ ძველი მოთამაშე, სპორტის ოსტატი ჯუმბერ ლუკას ძე რუსაძე.

ჯ. რუსაძე 1927 წელს დაიბადა ქუთაისში. აქვე დაიწყო ფეხბურთის თამაში. ნიჭიერი ფეხბურთელი ყურადღებიდან არ გამორჩათ მწვრთნელებს, 1950-დან 1956 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში“ განაპირა და ცენტრალურ მცველად. თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ჯ. რუსაძემ ღირსეულად მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატების ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

ჯ. რუსაძემ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. საფეხბურთო მინდვრებზე გამოსვლის შემდეგ სხვადასხვა წლებში მწვრთნელად მუშაობდა საფეხბურთო კოლექტივებში, კერძოდ, ქუთაისის „იმერეთში“ და ქუთაისის „ტორპედოში“.

ჯუმბერ რუსაძეს კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა. მის მიერ გაწეული ღვაწლი მუდამ დარჩება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თბილისისა და ქუთაისის ვეტერანი ფეხბურთელები.**

## „სპორტლოტო“

**15 ოქტომბერს** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის მორიგი, 42-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 37 (აკრობატიკა), 38 (ალპინიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 21 (ცურვა), 24 (ხელბურთი), 29 (სასტენდო სროლა).

* * *

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 41-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 8 ოქტომბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.313.492 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 1.770 მანეთია, ოთხისთვის (1.790) — 33, სამისთვის (31.823) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 32.990 ვარიანტი. 6-0, 5-1, 4-37, 3-634.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 13.265.124 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (124) მოგება 3.246 მანეთია, ოთხისთვის (10.300) — 74, სამისთვის (206.250) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 384.584 ვარიანტი. 5-0, 4-229, 3-6274.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 41-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 7-8 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.780.240 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (43) მოგება 969 მანეთია, 12 შედეგისთვის (1.020) — 81, 11 შედეგისთვის (10.289) — 28.

საქართველოში: დაშვებულია 146.675. 13-6 (ფოთი, ტყვარჩელი, ქუთაისი, სოხუმი, თბილისი-2), 12-169, 11-1298.

41-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 28 ოქტომბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

**42-ე ტირაჟის შედეგები (13-15 ოქტომბერი)**

1-X, 2-1, 3-1, 4-1, 5-1, 6-2, 7-1, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-2, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ცელქუაია • მქიოხველი

**შტუტგარტი.** ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც ორი დღის შემდეგ 293,150 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან გდრ-ის (288,800), ჩინეთის (288,750), იაპონიის (286,350), უნგრეთისა (284,950) და რუმინეთის (284,650) წარმომადგენლები. ჩვენი ტანმოვარჯიშეები დაწინაურდნენ ინდივიდუალურ ჩათვლაშიც: ვლადიმერ არტიომოვი — 58,900 ქულა, იგორ კორობჩინსკი — 58,895, ვალენტინ მოგილნი — 58,450.

**პეკინი.** ჩინეთის დედაქალაქის ტრადიციულ მარათონში, რომელშიც 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, პირველი ადგილი დანიელმა პიტერ დალმა მოიპოვა — 2:12,47. საბჭოთა სტაიერი ფიოდორ რიჟოვი მეექვსე იყო (2:16.23).

**მოსკოვი.** აქ გამართულ უმცროსი ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა (17 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ბულგარელი თანატოლები დაამარცხა — 3:1.

**ათენი.** 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი სიმფონიის დაწერა ცნობილ ბერძენ კომპოზიტორს მიკის ტეოდორაკისს დაევალა. ამის თაობაზე წინადადებით კომპოზიტორს მიმართა სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა.

**პარიზი.** ქალთა პოპულარული ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ ამიერიდან ვაჟთა შეჯიბრების პარალელურად აღარ ჩატარდება. იგი ცალკე მოეწყობა სექტემბერში.

# უეინ გრეცკი აუმჯობესებს რეკორდს

**ოტავა.** პროფესიულ ჰოკეიში ფიქსირებულ რეკორდთა შორის ერთ-ერთი საპატიო ბომბარდირთა შედეგი, რომელსაც განსაზღვრავენ „გოლი პლიუს პასის“ ცნობილი სისტემით. ნხლ-ს რეკორდი წლების მანძილზე ეკუთვნოდა ლეგენდარულ გორდი ჰოუს. გასულ კვირას რეკორდი გააუმჯობესა უეინ გრეცკიმ, ახალი მიღწევა ამიერიდან 1851 ქულას უდრის.

ეს მოხდა „ლოს-ანჯელეს კინგზისა“ და „ედმონტონ ოილერზის“ შეხვედრაში. პირველ პერიოდში ლოს-ანჯელესელთა 99-ე ნომერი გრეცკი გაუთანაბრდა ჰოუს, ძირითადი დროის დამთავრებამდე 53 წამით ადრე კი მან კიდევ ერთი გოლი გაიტანა.

როგორც ცნობილია, ჰოუს 26 სეზონი დასჭირდა, რათა თავისი რეკორდი დაემყარებინა (1980 წელი). გრეცკის კი მის გასაუმჯობესებლად 10 სეზონი ეყო. ახალ რეკორდსმენს ეს შესანიშნავი შედეგი პირველმა გორდი ჰოუმ მიულოცა.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
86435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524